პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ მარტი, 2025 წ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 337-342-ე პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის ფართი (კვ.მ.)
337	ქ. ბათუმი, რეჯებ ნიჟარაძის ქ. №6-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.18.200	69	—
338	ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. №10-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.05.049	157	—
339	ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. №10-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.05.050	12	—
340	ქ. ბათუმი, იოსებ ნონეშვილის ქ. №63ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.09.100	207	—
341	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №111-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.26.30.030	428	—
342	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №11	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.30.105	127	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 337-342-ე პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი პრივატიზებ საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
337	ქ. ბათუმი, რეჯებ ნიჟარაძის ქ. №6-ის მიმდებარედ	არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.18.200	69	—	134 100	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

338	ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. №10-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.05.049	157	—	320 300	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე
339	ქ. ბათუმი, 9 მარტის ქ. №10-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.05.050	12	—	23 400	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე
340	ქ. ბათუმი, იოსებ ნონეშვილის №63ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.09.100	207	—	60 000	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე
341	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №111-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.26.30.030	428	—	357 900	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 თვე
342	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №11	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.30.105	127	—	83 900	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) 294-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

294	ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №29-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.24.04.578	170	—	478 700	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 თვე

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**